



MES 8 21 0000572628



15/06/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 01.06.2021

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 22:42 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
- 4. გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
- 5. ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- 6. გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 7. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

8. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. გიორგი დაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. მკვა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. ნინო ნასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	შოთა კეჭერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I-II-III-IV
2.	ლენა შატაკიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ ხელმძღვანელი	I-II-III
3.	ლალი ხუნწარია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	I-II-III
4.	ქეთევან ქუთათელაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I-II-III
5	თეიმურაზ ბულია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მენეჯერი	I-II-III
6	თენგიზ ჯიშკარიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ ხელმძღვანელი	I-II-III
7	გიორგი გიგინეიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ ხელმძღვანელი	I-II-III
8	თენგიზ მუსელიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ ხელმძღვანელი	I-II-III
9	გია არაბიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	I-II-III
10	გრიგოლ ხელიძე		პროფესორი	I-II-III

		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი		
11	ავთანდილ ასათიანი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	I-II-III
12	ნანული დანელია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	I-II-III-IV
13	ოთარ გელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი	IV
14	ნათია ბუთხუზი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
15	ავთანდილ შარვაშიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ ხელმძღვანელი	IV
16	დავით ფრიდონაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	IV
17	გოგი აბრამიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თამაზ ბიჭიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
2	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
3	მაია ტულუში	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
4	თამარ ლულუნიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
5	ჯუმბერ ჩოგოვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	ზაზა ჟორჟოლიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
7	მზევარ გოგილავა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია Energy and Electrical Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	N 413 (24.09.2012წ.)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ბაკალავრი Bachelor of Energy and Electrical Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მ.კოსტავას ქ. N77, ქ.თბილისი, სასწავლო კორპუსი N8, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამაზ ბიჭიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ 2021 წლის 9 და 10 მარტს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 9 მარტს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრებები კი გაიმართა დისტანციურად. ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. პროგრამაში მითითებულ შედეგებზე გასასვლელად, ანუ კურსდამთავრებულის მიერ სწორი გადაწყვეტილების დროულად მიღებისათვის საჭირო ინჟინრული ჩვევებისა და უნარების განსავითარებლად აუცილებელია თითოეულ სტუდენტს მიეცეს ლაბორატორიულ სამუშაოებში მითითებული ცდების ინდივიდუალურად (ან უარეს შემთხვევაში 2-3 კაციან ჯგუფებად) ჩატარებისა და ლაბორატორიულ მოწყობილობებთან მუშაობის შესაძლებლობა;
2. მიზანშეწონილია სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება;
3. აუცილებელია სილაბუსებში მიეთითოს ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დრო და შეფასების მაჩვენებელი ქულებში;
4. ლაბორატორიულ დანადგარებზე საჭიროა გაკეთდეს ქართული მანიშნებლებიც;
5. გაცვლითი პროგრამების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია ინგლისურის ენის სწავლების (მაგ., ინგლისური ენის წრეები ინგლისურენოვან პედაგოგთან) გაძლიერება;
6. პროგრამის ზოგიერთი ლაბორატორია აღჭურვილია მოძველებული აპარატურით. პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ უნივერსიტეტის მეცხრე კორპუსში განთავსებულ National Instruments-ის უახლესი სასწავლო აპარატურით დაკომპლექტებულ ახალ ლაბორატორიებში მუშაობის შესაძლებლობა;
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან კონტროლის გაძლიერების მიზნით საჭიროა დაწესდეს უწყვეტი მონიტორინგი სემინარების და განსაკუთრებით ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე მიმოიხილა პროგრამისთვის განსაზღვრული რჩევები:

1. თუ გავითვალისწინებთ ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მიმართულებით მიმდინარე ტენდენციებს და გამოწვევებს, ნათლად დავინახავთ, რომ პროგრამის მიზნების მიღწევა და სწავლის შედეგებზე გასვლა წარმოუდგენელია უმეტეს სასწავლო დისციპლინათა ლაბორატორიული მოწყობილობების განახლებისა და ზოგიერთ ლაბორატორიებში სამუშაო ადგილების გაზრდისგარეშე;
2. დარგის განვითარების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით სასურველია დარგის მოქმედი სპეციალისტების მოწვეული პედაგოგების სტატუსით ჩართვა სასწავლო პროცესში;
3. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას უნდა დაემატოს შესაბამისი სფეროს თანამედროვე საერთაშორისო გამოცემები;
4. ზოგიერთი საგნის სწავლებისას გასაძლიერებელია ლაბორატორიული სწავლების კომპონენტი.
5. სასურველია ელექტრონული პორტალის განვითარება, მაგ., პორტალის მეშვეობით სტუდენტისათვის საჭირო სხვადასხვა ცნობების (სტატუსის შესახებ, აკადემიური მოსწრების და სხვ შესახებ) ელექტრონულად გამოთხოვის შესაძლებლობა;
6. სასურველია მოეწყოს სივრცეები სადაც სტუდენტები შეძლებენ შეკრებას და თავისუფალი დროის საუნივერსიტეტო ცხოვრების შესაბამისად, ნაყოფიერად გატარებას;
7. იმისათვის, რომ თითოეულ სტუდენტს მიეცეს ლაბორატორიულ სამუშაოში მითითებული ცდის ჩატარების შესაძლებლობა, იმ ლაბორატორიებისათვის, სადაც არაა საკმარისი აპარატურა, შესაძლოა შემუშავდეს სპეციალური გრაფიკი, რომლის მიხედვით სტუდენტები 2-3 კაციან ჯგუფებად, მათთვის გამოყოფილ საათებში ლაბორანტის მეთვალყურეობით ჩაატარებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს;

8. სასურველია, სტუდენტთა მეტი ჩართულობა (მაგ., ფოკუს ჯგუფების გამოყენება) ხარისხის მონიტორინგის განხორციელებისას;
9. სასურველია, უცხოელ ექსპერტთა ჩართვა პროგრამის მონიტორინგში მონაწილეობისა და გარე ექსპერტული შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა რესურსი ფოკუსირებული იყო საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებისკენ. მან განაცხადა, რომ ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ემსახურებოდა 35 ლაბორატორია, მათ შორის უნიკალური თანამედროვე ლაბორატორიები, რომლებიც შეიქმნა ბოლო 5 წლის განმავლობაში უცხოელი პარტნიორების და მსხვილი დამსაქმებლების დახმარებითა და ხელშეწყობით.

დავით მახვილაძემ განმარტება გააკეთა სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებასა და სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კოვიდ-19 ფარგლებში გავრცელებული საყოველთაო რეგულაციებიდან გამომდინარე დაწესებულებას შეეზღუდა ლაბორატორიულ და აუდიტორიულ სივრცეში სტუდენტების მიღება, ონლაინ რეჟიმში ხორციელდებოდა მხოლოდ თეორიული სწავლება, პრაქტიკული კომპონენტის შეზღუდვიდან გამომდინარე დაწესებულების მიერ გასამმაგებული იყო თეორიული საკონტაქტო საათები. მან დამატებით აღნიშნა, რომ რეგულაციების მოხსნის შემდგომ განახლდა დაწესებულებაში პრაქტიკული სამუშაოები, რომელიც ხორციელდებოდა ტექნიკური უნივერსიტეტის მერვე და მეცხრე სასწავლო კორპუსებში.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო კურსის სილაბუსების ფორმა უნიფიცირებული და დამტკიცებული იყო აკადემიური საბჭოზე. ყველა სილაბუსში მითითებული იყო სასწავლო კურსისათვის მინიჭებული კრედიტების შესაბამისად სტუდენტის დატვირთვის საათები, მათ შორის ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების. მან განაცხადა, რომ დამტკიცებული სილაბუსის ფორმების შესაბამისად გაწერილი იყო სასწავლო კურსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები (ქულობრივი მაჩვენებლებით).

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ ხელმძღვანელი, თენგიზ მუსელიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს დაწესებული მუშაობისთვის და განაცხადა, რომ საწარმოო პრაქტიკის საათები წინა პროგრამაში იყო 3 კრედიტი, პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ამჟამად გახდა 5 კრედიტი. ორ სასწავლო კურსში ელექტრო მოხმარების ტექნოლოგია და ელექტრო მოხმარების დანადგარები და სისტემების მონტაჟი, გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკა, 37 სასწავლო კურსში საკურსო სამუშაო და საკურსო პროექტი. 40 სასწავლო კურსი გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოსათვის, 62 სასწავლო კურსი კი პრაქტიკული მეცადინეობისთვის.

თენგიზ მუსელიანმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იზიარებდა დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ხოლო მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავდა და

აძლიერებდა უცხოური ენების სწავლების მიმართულებას, რაც გამოიხარებოდა, მაგრამ არ შემოიფარგლებლოდა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამებში მათ კრედიტებში მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდით. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავდა სტუდენტებისა და თანამშრომლების ენობრივი კომპეტენტურობის ამაღლებაზე. უნივერსიტეტი სტუდენტებსა და თანამშრომლებს სთავაზობდა უფასო ონლაინ უცხოური ენების შემსწავლელ კურსებს. თენგიზ მუსელიანმა აღნიშნა, რომ ამ წლის 25 მარტს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და კემბრიჯის განათლების სახლს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწიებდა ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ლექტორებისა და სტუდენტებისათვის ინგლისური ენის გაძლიერებულ უფასო სწავლებას საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს თუ როგორ იყო განპირობებული კონცენტრაციების რაოდენობა აღნიშნულ პროგრამაში. მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანდა, რომ ყოველწლიურად დაახლოებით 400 სტუდენტი ირიცხებოდა აღნიშნულ პროგრამაზე, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ სად გადიოდნენ პრაქტიკებს სტუდენტები და სად საქმდებოდნენ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები და უწყობდა თუ არა კონცენტრაციები ხელს პროფესიის მიხედვით კურსდამთავრებულების დასაქმებას. ასევე ნიკა თიკანაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს 20 კრედიტი, რომელიც კონცენტრაციებისთვის იყო გამოყოფილი უზრუნველყოფდა თუ არა სწავლის შედეგზე გასვლას.

ნიკა თიკანაშვილმა პროგრამის შინაარსობრივ ნაწილთან მიმართებით ყურადღება გაამახვილა და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, როგორც მოგეხსენებათ ძირითად სწავლის სფეროში მოცემული 120 კრედიტი მოიცავდა იმ სასწავლო კურსებს, რომლის გავლის შემდგომ სტუდენტი გადიოდა საბოლოო კვალიფიკაციაზე. შესაბამისად, ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა რამ განაპირობა „ეკონომიკისა და მარკეტინგის საფუძვლების“ სასწავლო კურსის პროგრამაში განთავსება.

ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თანამშრომლობდა ლაბორატორიების მწარმოებელ რამდენიმე კომპანიასთან, მათ შორის, National Instruments-თან. ნიკა თიკანაშვილმა მიმართა დაწესებულებას განემარტათ კონკრეტულად National Instruments-ის რეგიონალურ ოფისთან თანამშრომლობდნენ თუ მთავარ ოფისთან, რომელიც მდებარეობდა ამერიკაში, ნიკა თიკანაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს არსებობდა თუ არა ხელშეკრულებაში მათ მიერ შექმნილ ლაბორატორიაზე პერსონალის გადამზადების და მომზადების პროგრამები და რამდენად ხდებოდა პერსონალის ეტაპობრივი გადამზადება აღნიშნული პროგრამების და ლაბორატორიების გამართვის კუთხით?

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭო განიხილავდა „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო, სამაგისტრი და სადოქტორო პროგრამებს, სადაც სტუდენტების რაოდენობა ჯამურად საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, შესაბამისად სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე სირთულეს წარმოადგენდა და აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციის სახითაც იყო ჩამოყალიბებული.

მაკა კაჭარავამ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაახლოებით რამდენი დროა საჭირო იმისთვის, რომ გამოსწორდეს დაწესებულების მხრიდან აღნიშნული ხარვეზი, როდესაც სამივე საფეხურის პროგრამა ხორციელდებოდა დაწესებულებაში.

საბჭოს წევრი გიორგი ლაღანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და პატივისცემა გამოხატა დაწესებულებისა და ექსპერტთა ჯგუფის მიმართ. გიორგი ლაღანიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და განაცხადა, რომ როდესაც ლაბორატორიული მოწყობილობის განახლებაზე იყო საუბარი ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შესაძლებელია თუ არა ლაბორატორიების განახლების გარეშე სწავლის შედეგზე გასვლა.

გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ 5.2 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განაცხადა თუ რატომ უნდა ეკონტროლებინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სემინარებისა და პრაქტიკული მუშაობების ჩატარება, როდესაც ეს საბჭოს წევრის თქმით უნდა იყოს ადმინისტრაციის კომპეტენცია. მისი მოსაზრებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა აკონტროლოს სტუდენტებთან ურთიერთობის საკითხი და სტუდენტებისგან მიღებულ უკუკავშირზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

გიორგი ლაღანიძემ ყურადღება გაამახვილა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ძალიან კარგად ჰქონდა შრომის ბაზრის კვლევა ჩატარებული.

გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომლის საშუალებითაც ძალიან ნათლად ჩანდა, რომ აღნიშნული პროგრამა საკმაოდ მაღალბიუჯეტიანია, გიორგი ლაღანიძის მოსაზრებით დაწესებულება მხოლოდ პროგრამის ბიუჯეტის საშუალებით შეძლებდა ლაბორატორიების განახლებას. თა დაწესებულების წარმომადგენლებს, უმჯობესი იქნებოდა პროგრამის ბიუჯეტში დაემატებინათ მუხლი, რისკების გათვალისწინების შესახებ.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტი ჩართული იყო ძალიან ბევრ აქტივობებში ინოვაციური მიმართულებით, საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში როგორია დაწესებულების აქტივობა ინოვაციური პროდუქტების შექმნასთან დაკავშირებით და არის თუ არა ეს პრაქტიკა გამოყენებული სასწავლო პროცესში.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხაიძემ ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში მითითებული რეკომენდაციასთან მიმართებით, რომ სტუდენტებს არ ჰქონდათ წვდომა მეცხრე კორპუსში არსებულ თანამედროვე National instruments-ის ლაბორატორიებთან, თამარ ჩხაიძემ მიმართა როგორც ექსპერტთა ჯგუფს, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამაზ ბიჭიაშვილმა აღნიშნა რომ შესაძლოა დაწესებულებას ჰქონდეს ხარვეზი ლაბორატორიული აპარატურის ნაკლებობასთან დაკავშირებით, თუმცა, მისი მოსაზრებით, პრაქტიკული კომპონენტის კარგი ორგანიზებით და გაწერილი გრაფიკით ეს ხარვეზი მოგვარებადია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ მიმართა დამაზუსტებელი კითხვით ექსპერტს, რომ არსებული ლაბორატორიებით და არსებული სტუდენტების ნაკადით შესაძლებელი იყო თუ არა პრაქტიკული კომპონენტის დაკმაყოფილება აღნიშნულ პროგრამაში.

თამარ ბიჭიაშვილმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიების განახლების გარეშე, შესაძლებელი იყო სწავლის შედეგზე გასვლა. მისი მოსაზრებით საჭიროა სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით და ამჟამინდელი პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვის მენეჯმენტის შეცვლა, რადგან ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებმა გამოთქვეს პოზიცია, რომ პრაქტიკული კომპონენტის ნაწილს ესწრებოდა დიდი რაოდენობის სტუდენტები და მათი მოსაზრებით ფაქტობრივად შეუძლებელი იყო იმ გარემოში პრაქტიკის გავლა ინდივიდუალურად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით და შეფასებით რა დრო დასჭირდება დაწესებულებას ლაბორატორიების განახლებისთვის.

თამაზ ბიჭიაშვილმა აღნიშნა, რომ 1 წელი ლაბორატორიების განახლებისთვის სრულიად საკმარისი იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილამემ განაცხადა, რომ სტუდენტების მხრიდან მცდარი ინფორმაცია იყო მიწოდებული ექსპერტებისთვის, რადგან ლაბორატორიაში სტუდენტების რაოდენობას მკაცრად აკონტროლებდა მონიტორინგის სამსახური. მან განაცხადა, რომ პროგრამის პრაქტიკულ ნაწილში არის სპეციალიზებული ლაბორატორიები, რომელიც თეორიულად გამორიცხავდა შესაძლებლობას რომ 3-4 სტუდენტზე მეტი რაოდენობის სტუდენტმა მიიღოს მონაწილეობა. მან დამატებით აღნიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის დებულების გაწერილია, რომ პრაქტიკულ კომპონენტზე ამ მიმართულებით სტუდენტების დაშვების მაქსიმალური ზღვარი არის 15 სტუდენტი, თუმცა, პრაქტიკაში ეს არის 8-9 სტუდენტი. დავით მახვილამის განმარტებით, გასულ წელს კოვიდ-19 ფარგლებში განხორციელებული შეზღუდვებისას, აკადემიური საბჭოს დადგენილებით და მინისტრის ბრძანებით დაწესებულებას ჰქონდა უფლებამოსილება განეხორციელებინა სწავლების მხოლოდ თეორიული ნაწილი, რეგულაციების მოხსნის შემდგომ კი დაწესებულების მხრიდან მოხდა პრაქტიკული კომპონენტის აღდგენა ლაბორატორიებში.

დავით მახვილამემ აღნიშნა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებდა ძველი ლაბორატორიები, რომლებიც ძველი ინვენტარით იყო აღჭურვილი, თუმცა, მან დამატებით აღნიშნა, რომ ხდებოდა ინვენტარის პერიოდული განახლება. მან ასევე აღნიშნა, რომ 10 პროცენტთან ცდომილება იყო სრულიად მისაღები. მან განაცხადა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ტექნიკური უნივერსიტეტი მაქსიმულურად ცდილობს გამოიყენოს არსებული ფინანსური რესურსები, რომლებიც გამოიყენება ყოველწლიურად სხვადასხვა მიმართულებით. დავით მახვილამემ საბჭოს წევრებს გაუზიარა ლაბორატორიები და ინვენტარები ფოტოსურათების სახით.

დავით მახვილამემ განაცხადა, რომ პროგრამის მოდიფიცირება მოხდა ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანით. მისი მოსაზრებით, კონცენტრაცია კვალიფიკაციის არსებობას არ ცვლიდა, საბაკალავრო პროგრამაზე საკმაოდ მცირე მოცულობით იყო კონცენტრაცია წარმოდგენილი. მან განაცხადა, რომ პროგრამა იმგვარად იყო

წარმოდგენილი, რომ ნებისმიერი კონცენტრაციის არჩევის პირობებში თითოეული სტუდენტი დადებითი შეფასების შემთხვევაში გავიდოდა სწავლის შედეგზე. რაც შეეხება ეკონომიკის მიმართულებას, კვალიფიკაციის ჩარჩო ითხოვდა რომ ეკონომიკური საკითხები ყოფილიყო შემოტანილი პროგრამაში. ინსტიტუციის თქმით მდგრადობის კუთხით პროგრამას არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას და პროგრამას საკმარისი რესურსი რჩებოდა განვითარებისთვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, გია არაბიძემ აღნიშნა, რომ არამართო აღნიშნულ პროგრამაში ჩართული პირები, არამედ მთელი დაწესებულება ჩართული იყო ძალიან ბევრ აქტივობებში ინოვაციური მიმართულებით. მან განაცხადა, რომ ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მიმართულებით არ გამოცემულა არცერთი საკანონმდებლო აქტი, რომლის შემუშავების პროცესში დაწესებულების თანამშრომლებს მონაწილეობა არ მიეღო. გია არაბიძემ აღნიშნა, ამ დროისთვის ფაკულტეტის თანამშრომლები ჩართულები იყვნენ სპეციალური მრიცხველების შემუშავების პროცესში, რომ მოხდეს ელექტრო მრიცხველების შემოტანა ბაზარზე. გია არაბიძემ ყურადღება გაამახვილა ზეთების ლაბორატორიაზე, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გაიხსნა 1 წლის წინ. გია არაბიძემ აღნიშნა, რომ სკადა სისტემები შემოვიდა არა მხოლოდ ელექტრო ენერჯის მართვაში, არამედ თბური ენერჯის მართვაში და ამ პროცესშიც ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესურა იყო ჩართული.

პროგრამის ხელმძღვანელმა, თენგიზ სუბელიანმა განაცხარა, რომ ფაკულტეტზე გარდა ელექტრო დიაგნოსტიკის ლაბორატორიისა არსებობდა ენერგო აუდიტისა და დიაგნოსტიკის ლაბორატორია, რომელსაც სერტიფიკატის ორგანო ჰქვია. აღნიშნულ ლაბორატორიაში ტარდება ექსპერტიზა ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესებზე, ესენია ელექტრო მაგნიტური გამოსხივების გაზომვები და დამაბულობის გაზომვა. აღნიშნული ექსპერტიზების ჩატარება ეხმარება მაღალი ძაბვის ხაზების დაპროექტებისას.

თენგიზ სუბელიანმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე ასევე ფუნქციონირებდა ენერგეტიკული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო, რომელიც საქართველოში არსებული ტექნიკური პერსონალის სერთიფიცირებას ახორციელებდა. მთავრობის დადგენილებით, ყველა ენერგეტიკოსი ექვემდებარება ყოველწლიურ სერთიფიცირებას. მან დამატებით აღნიშნა, რომ ფაკულტეტის თანამშრომლები ჩართულნი იყვნენ ინსპექტირების ორგანოს ექსპერტიზაში.

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანმა, ლენა შატაკიშვილის განაცხადა, რომ მიმდინარე წელს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტმა მოიპოვა ლიეტუვის გრანტი, რომელიც იძლევა საშუალებას რომ მზის ელექტრო სადგური დამონტაჟდეს. მისი განმარტებით აღნიშნული სადგური იქნება თბილისში ყველაზე დიდი მზის ელექტრო სადგური, რომელიც მისცემს დაწესებულების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საშუალებას შეძლონ ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება იმ თანამედროვე მოთხოვნებით, რომელიც წაყენებული აქვს ფაკულტეტსა და უნივერსიტეტს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.2. კომპონენტთან მიმართებით შემუშავებული რჩევა: მოქმედი სპეციალისტების მოწვეულ პედაგოგების სტატუსით ჩართვასთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამაზ ბიჭიაშვილმა განმარტა, რომ ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მიმართულებით ძალიან ბევრი კარგი სპეციალისტი არსებობდა,

რომლებიც იცნობდნენ აღნიშნული მიმართულების თანამედროვე გამოწვევებს და მისი მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულიყვნენ აღნიშნული გამოცდილების მქონე პროფესორები.

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანმა, ლენა შატაკიშვილიმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევა და მეორე სემესტრიდან დაწესებულების მხრიდან არიან მოწვეულები ენერგეტიკის სექტორში ყველაზე წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც წაუკითხავენ ლექციებს სტუდენტებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:26

დასრულების დრო: 17:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მომქმედი კანონმდებლობის თანახმად;
2. რეკომენდირებულია მოკლე ვადაში განახლდეს და გაიზარდოს ლაბორატორიული მოწყობილობების და აღჭურვილობების რაოდენობა, რათა თითოეული სტუდენტის უშუალო წვდომა იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის მდგრადობის, შემდგომი განვითარებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან კონტროლის გაძლიერების მიზნით რეკომენდირებულია დაწესდეს უწყვეტი მონიტორინგი სემინარების და განსაკუთრებით ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებაზე.

რჩევები:

1. სასურველია, სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება;
2. სასურველია, სასწავლო კურსებში გამოყენებულ იქნას ინოვაციური მიდგომები;
3. სასურველია, გაცვლითი პროგრამებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ინგლისურის სწავლების (მაგ., ინგლისურის წრეები ინგლისურენოვან პედაგოგთან) გაძლიერება;
4. სასურველია შემუშავდეს ლაბორატორიების განახლების შემდგომი სამოქმედო გეგმა ფინანსურ ჭრილში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია Energy and Electrical Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	N 484 (28.09.2012წ.)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მაგისტრი Master of Energy and Electrical Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მ.კოსტავას ქ. N77, ქ.თბილისი, სასწავლო კორპუსი N8, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

17:02 საათზე აკრედიტაციის საბჭოს სხდომას შემოუერთა აკრედიტაციის საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამაზ ბიჭიაშვილმა განაცხადა, რომ 2021 წლის 9 და 10 მარტს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 9 მარტს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრებები კი გაიმართა დისტანციურად. ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამაზ ბიჭიაშვილმა გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. გასათვალისწინებელია პროგრამის მაგისტრანტებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრება პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებისა და მოძველებული ლაბორატორიული აპარატურის/მოწყობილობების ახლით ჩანაცვლების აუცილებლობის შესახებ;
2. სამაგისტრო ნაშრომები უნდა გაფორმდეს მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვით;
3. მეტი მუშაობაა ჩასატარებელი სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, აუცილებელია ამდღეს ცნობადობა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების მიმართ, დასახვეწია მათი გამოყენების მექანიზმი;
4. საჭიროა სტუდენტთა ინფორმირება აკადემიური წერის სტანდარტებისა და პლაგიატის პროგრამის გამოყენების შესახებ, ასევე საუნივერსიტეტო რეგულაციებთან დაკავშირებით შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში;
5. აუცილებელია სტუდენტთა ინფორმირებულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სტარტაპ პროექტებისა და სხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობათა შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, გიორგი გიგინეიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტება გააკეთა პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი რეაკრედიტაციამდე წარმოდგენილი იყო როგორც ცალკეული სასწავლო კურსების შემადგენელი ნაწილი ან/და საკურსო პროექტის სახით. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში, რომელიც წარმართა სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმელების და პროფესიული ორგანიზაციების ჩართულობით, მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ მაგისტრატურის მოდიფიცირებულ პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსი „საწარმოო პრაქტიკა“.

გიორგი გიგინეიშვილმა მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და განაცხადა, რომ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით მიღებული იყო მაგისტრატურის შესახებ ახალი დებულებით განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების დეტალური ინსტრუქცია. მან დამატებით აღნიშნა, რომ დებულებაში მოცემული იყო საუნივერსიტეტო რეგულაციები პლაგიატთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მაგისტრანტმა სამაგისტრო ნაშრომთან და სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, დეკანთან უნდა წარადგინოს განცხადება სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების თხოვნით. მან დამატებით აღნიშნა, რომ დებულება ასევე ითვალისწინებდა ნაშრომში პლაგიატის არსებობის ან სხვა ნაშრომებიდან ნორმაზე მეტი ტექსტის ციტირება იქვევდა მაგისტრანტის დაცვაზე არდაშვების საკითხს. მან ასევე განაცხადა, რომ სტუ-ის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებულ „სტუ-ში ფუნქციონირებად „Plagiarism.com“ პროგრამის შემოწმების წესში“ და მასში შესული ცვლილებებით, დეტალურად იყო გაწერილი ყველა შინაარსობრივი და პროცედურული საკითხი, შესაბამისი ფორმით.

გიორგი გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მდიდარი იყო ელექტრონული რესურსებით. სტუ მომხარებელს სთავაზობდა მსოფლიოში ცნობილ აკადემიურ ბაზებს, ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და სხვა აკადემიურ

ინსტრუმენტებს, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილი იყო მაღალი დონის კვლევის ჩატარება და ხარისხიანი სწავლების განხორციელება. მან დამატებით აღნიშნა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დანერგილი იყო ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლიტერატურის მოძიება.

გიორგი გიგინეიშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის ხედვა კვლევების, განათლებისა და ახალი ტექნოლოგიების შეთავაზებასთან და ამ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით.

გიორგი გიგინეიშვილმა განაცხადა, რომ მაგისტრანტების მიერ ხელმძღვანელისა და ტემის შერჩევის პროცედურები, რომელიც იქწყება პირველი სემესტრიდან დეტალურად იყო გაწერილი უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე მაგისტრანტები კონცენტრაციებს ირჩევდნენ მე-2 სემესტრიდან, არჩეული კონცენტრაციების ნაწილს წარმოადგენდა „საწარმოო პრაქტიკა“. პრაქტიკის ობიექტის შერჩევა ხდებოდა მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემის შესაბამისად და მათ შეუძლიათ, იქ მიღებული ინფორმაცია და მონაცემები გამოიყენონ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეუშავებული გარკვეული რეკომენდაციების საფუძველს წარმოადგენდა სტუდენტებთან გასაუბრება, საბჭოს წევრი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თუ არა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს და ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ბაზის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ გასაუბრების შედეგად იქნა სტუდენტების მხრიდან აღნიშნული თუ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დინამიკას და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე იქნა შემუშავებული აღნიშნული რეკომენდაციები.

ნიკა თიკანაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ სად ხდებოდა სტუდენტების პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება, საკონტაქტო საათები როგორ იყო რეგულირებული დაწესებულების მიერ და შემდგომ სად ხდებოდა კურსდამთავრებულების დასაქმება.

გიორგი დაღანიძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა მე-10 სვეტში მითითებული იქნას, რა თანხები მიდის სამაგისტრო კვლევების დაფინანსებაზე. მან დამატებით აღნიშნა, რომ ის ყურადღებით გაეცნო სამეწარმეო და ტექნოლოგიური ინოვაციათა მენეჯმენტის კურსს და ეკონომიკური და ფინანსური რისკების კურსს, მან განაცხადა, რომ აღნიშნული კურსები დაშვების წინაპირობის გარეშე ხორციელდებოდა, საბჭოს წევრმა იკითხა რამდენად იყო რელევანტური აღნიშნული კურსის სამაგისტრო საფეხურზე სწავლება. მან დამატებით აღნიშნა, რომ აღნიშნულ საგნებთან მიმართებით ლიტერატურა მოძველებული იყო.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და ასევე დაწესებულების წარმომადგენლებს სამაგისტრო ნაშრომები ორიენტირებული იყო კვლევით კომპონენტზე თუ პრაქტიკულ კომპონენტზე. მან განაცხადა, რომ დაწესებულებას პროგრამის დაშვების წინაპირობებში მითითებული ჰქონდა, რომ ბაკალავრიატის ხარისხი, თუმცა, არ ჰქონდა მითითებული მიმართულება და მოუწოდა დაწესებულებას აღნიშნულის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარის, ნათია ზედგინიძის განმარტებით, პროგრამაში არ იყო გაწერილი კონცენტრაციის სწავლის შედეგები, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს თუ რატომ არ გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება აღნიშნულ საკითხზე. მან დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ 5.2 ქვესტანდარტთან მიმართებით შემუშავებულ რჩევაში მითითებულია, რომ „პროგრამა შეფასებისათვის გადაიგზავნოს უცხოელ ექსპერტებთან“. აქედან გამომდინარე ნათია ზედგინიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ რამ განაპირობა აღნიშნული რჩევის შემუშავება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამაზ ბიჭიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეუშავებული რეკომენდაციების შედგენილი იყო სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, მან დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს, თუმცა, შედეგებში აღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა.

თამაზ ბიჭიაშვილმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომების გადახედვისას ბიბლიოგრაფიაში ფიქსირდებოდა ძველი ლიტერატურა, მაშინ როდესაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თანამედროვე ლიტერატურით იყო აღჭურვილი და უნივერსიტეტს წვდომა ჰქონდა ყველა სამეცნიერო ლიტერატურასთან.

თამაზ ბიჭიაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომების გადამოწმებისას ექსპერტთა ჯგუფს შეხვდა, ნაშრომები სადაც კვლევით კომპონენტზე იყო ყურადღება გამახვილებული და ასევე შეხვდათ ნაშრომები, რომლებშიც პრაქტიკული მხარე იყო წამოწეული.

თამაზ ბიჭიაშვილმა აღნიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერინგის“ პროგრამა ენერგეტიკის მიმართულებით ერთადერთი პროგრამა იყო საქართველოში და სასურველი იქნებოდა უცხოელ ექსპერტებთან პროგრამის გაზიარება შესაფასებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს თუ რამდენ სამაგისტრო ნაშრომს გაეცნო ჯგუფი ვიზიტის ფარგლებში და მიმართა თხოვნით პლაგიატთან დაკავშირებით განმარტება გაეკეთებინათ.

თამაზ ბიჭიაშვილმა აღნიშნა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა პლაგიატის ამომცნობი პროგრამა, თუმცა მან დამატებით აღნიშნა, რომ პლაგიატის გამოვლენა პროგრამის საშუალებით სირთულეს წარმოადგენდა. თამაზ ბიჭიაშვილმა განაცხადა, რომ მან გამოითხოვა ერთი და იგივე ხელმძღვანელის სამი სამაგისტრო ნაშრომი, რათა დაედგინათ იქნებოდა თუ არა მსგავსება ნაშრომებს შორის, თუმცა, აღნიშნული მსგავსება არ დაფიქსირებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, თენგიზ სუბელიანმა განაცხადა, რომ სტუდენტები პრაქტიკებს გადიოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებში, როგორცაა ენერგო პრო ჯორჯია, თელასი, თბილისის ელვამშენებელი ქარხანა. მან დამატებით აღნიშნა, რომ თითოეული დაწესებულებასთან ხელშეკრულებით არის გაწერილი თუ რამდენი სტუდენტის მიღების უფლება აქვს და რამდენი საათი ჩაატარებენ სტუდენტებისთვის პრაქტიკულ მუშაობას.

თენგიზ სუბელიანმა განმარტება გააკეთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ყველა სტუდენტს, რომელსაც გავლილი აქვს საბაკალავრო პროგრამა, უფლებამოსილება აქვს ნებისმიერ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების.

თენგიზ სუბელიანმა აღნიშნა, რომ სტუდენტს, რომელსაც დასრულებული აქვს ბაკალავრიატის ნებისმიერი პროგრამა უტარდება ტესტირება სამაგისტრო საფეხურზე ჩარიცხვამდე. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტს აქვს უფლება გააგრძელოს სწავლება სამაგისტრო საფეხურზე.

თენგიზ სუბელიანმა კონცენტრაციის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება გაითვალისწინა 69/ნ ბრძანების, მეორე დანართის, მე-6 პუნქტი, სადაც გაწერილია, რომ "კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში". მან დამატებით აღნიშნა, რომ თითოეული კონცენტრაცია დაწესებულების თქით პასუხობდა, სწავლის შედეგებს.

დავით მახვილამემ დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა თავისი კონცენტრაციებით ძალიან ბევრ მიმართულებას უკავშირდებოდა, გარდა ამისა პროგრამაზე მიღების წინაპირობა გარდა იმისა, რომ კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული, ასევე უნივერსიტეტის შიდა გამოცდები უზრუნველყოფდა. დავით მახვილამემ აღნიშნა რომ სხვა სპეციალობის სტუდენტები, რომლებიც აგრძელებდნენ სამაგისტრო საფეხურზე სწავლას სხვა მიმართულებით, საკმაოდ მარტივად გადიოდნენ სწავლის შედეგებზე და წარმატების ასრულებდნენ სამაგისტრო საფეხურის პროგრამას. დავით მახვილამემ განმარტება გააკეთა კონცენტრაციის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა ერთი კონკრეტული სპეციფიკა განსხვავებით სხვა პროგრამებისა.

საბჭოს თავდმჯომარემ, ნათია ზედგინიძემ მიმართა დაწესებულებას, როგორ უნდა განსაზღვროს სტუდენტმა თუ რომელი კონცენტრაცია რა სარგებლობას მოუტანდა სწავლის შედეგების სახით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა კონცენტრაციაში იყო სხვადასხვა საგნები შერჩეული, თუ სტუდენტი ერთ კონცენტრაციას აირჩევდა ერთი ტიპის საგნებს გავლა უწყევდა. მოერე კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში სხვა საგნების. ეკატერინე ნაცვლიშვიმა მიმართა კითხვით, კონცენტრაციებში შეთავაზებული სასწავლო კურსები რამდენად ტოლფასია ერთმანეთის შინაარსობრივად, რომ ერთი და იგივე სწავლის შედეგზე გადის.

დავით მახვილამემ, აღნიშნა, საუბარი იყო სამაგისტრო საფეხურის პროგრამასთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ სტუდენტი პირველივე სემესტრში არ ირჩევდა კონცენტრაციას, მან აღნიშნა, რომ სტუდენტი ინფორმირებული იყო შინაარსობრივი თვალსაზრისით პროგრამასთან, კონცენტრაციებთან და სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. მან დამატებით აღნიშნა, რომ მეორე სემესტრიდან შეუძლებელია სტუდენტმა კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში არ იცოდეს არჩეული კონცენტრაცია რა სარგებლობას მოუტანდა სწავლის შედეგების სახით. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგი იყო ერთი, კონცენტრაციების სწავლის შედეგში ასახვა აძლიერებდა გარკვეულ მიმართულებებს. დავით მახვილამემ განაცხადა, რომ პროგრამის შედეგისას დაწესებულებამ მაქსიმალურად გაითვალისწინა მეორე კურსელი სტუდენტების უკუკავშირი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა და პირობითან მოიყვანა მაგალითი, რომ როდესაც სწავლის შედეგია კომუნიკაციების უნარ-ჩვევების განვითარება და კონცენტრაციებში შემოთავაზებულია ინგლისური ენა, ფრანგული ენა და გერმანული ენა. სტუდენტების არჩევის შემდეგ სწავლის შედეგი იქნება ერთი და იგივე, განსხვავება იქნება მხოლოდ ენაში, სტუდენტს ექნება ზეპირი, წერიტი და მოსმენის უნარჩვევები გამომუშავებული. მაგრამ როდესაც კონცენტრაციები დალაგებულია, იმ ლოგიკით რომ შემოთავაზებულია ფინანსების საგნები და

მარკეტინგის საგნები, საერთაშორისო ურთიერთობების საგნები, როდესაც შინაარსობრივად აღნიშნული საგნები განსხვავებულია და კონცენტრაციაშია შემოთავაზებული აღნიშნული საგნები, ერთიდაიგივე სწავლის შედეგზე რამდენად შესაძლებელია გასვლა.

დავით მახვილამემ განმარტა, რომ ის სასწავლო კურსები, რომელიც ყველა კონცენტრაციის შემთხვევაში სტუდენტს უნდა გაეცლო, ოპტიმალურად გადანაწილებული იყო ყველა კურსთან მიმართებაში. მან აღნიშნა, რომ არის სასწავლო კურსები, რომელიც პროფესიის კუთხით კვალიფიკაციის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ, რაც შეეხება კონცენტრაციების გადანაწილებას, დაწესებულებამ ვერ შეძლო რაოდენობრივი შემცირება, თუმცა, ნებისმიერი კონცენტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო კურსებთან ერთად სწავლის შედეგზე გასვლას.

ექსპერტმა, თამარ ღულუნიშვილმა მესამე სტანდარტთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული სტუდენტების გამოკითხვებით, აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს არ აქვს საშუალება თავიანთი აზრი გამოხატონ ღია კითხვებზე პასუხებით. მან დამატებით აღნიშნა, რომ სტუდენტთა დახურული კითხვების ანალიზის შედეგად იყო აღნიშნული რეკომენდაციები გაცემული. სტატისტიკურ მონაცემებს რაც შეეხება ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, კვლევა იყო წარმოდგენილი, სადაც ნაკლებად იყო სამეცნიერო ბაზები ნახსენები, რომელიც მნიშვნელოვანია თანამედროვე სამაგისტრო ნაშრომის შესაქმნელად. პრაქტიკებთან და სტარტაპებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ძალიან აღნიშნული პროგრამა მეტად დატვირთული უნდა იყოს პრაქტიკული კომპონენტებით. მან დამატებით აღნიშნა, რომ სტუდენტები არ იყვნენ მოტივირებულები.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ნაწილში აღნიშნული იყო, რომ აუცილებელია გაძლიერდეს ლაბორატორიული აპარატურის და მოწყობილობების განახლება. ეს აუცილებლობა დაკავშირებულია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებასთან, რამდენად მნიშვნელოვანია შიდა ლაბორატორიული ბაზა კვლევითი სამუშაოს განხორციელებისათვის, რადგან ინსტიტუციას გაფორმებული აქვს მემორანდუმები დარგის რელევანტურ პარტნიორ ორგანიზაციებთან, სადაც შესაძლებელია, როგორც პრაქტიკული კომპონენტის გავლა ასევე სამაგისტრო კვლევის ჩატარება. რამდენად სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი მუშაობისთვის აუცილებელია შიდა ლაბორატორიული ბაზა. მან დამატებით აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია იყო ასევე საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული, თუმცა, უფრო მკაცრი ფორმულირებით ვიდრე სამაგისტრო საფეხურზე.

ექსპერტმა, თამაზ ბიჭიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია საბაკალავრო საფეხურზე უფრო მკაცრი ფორმულირებით იყო შემუშავებული, რადგან საბაკალავრო საფეხურზე სამაგისტრო საფეხურისგან განსხვავებით გაცილებით დიდი რაოდენობაა სტუდენტების. შესაბამისად, აღნიშნული ლაბორატორიული ლაბორატორიები არ იყო საკმარისი საბაკალავრო საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის. მან დამატებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ფაკულტეტის ხელმძღვანელობას პრაქტიკული კომპონენტის მენეჯმენტი კარგად აქვს გაწერილი სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა კონცენტრაციებთან დაკავშირებით, რომ პროგრამას გააჩნია 9 სწავლის შედეგი, რამდენი არის სწავლის შედეგი, რომელიც თავის მხრივ კონცენტრაციების გარეშე სასწავლო კურსებითაა შეთავაზებული პროგრამისთვის. რატომ არ არის სწავლის შედეგები გაწერილი ისე როგორც მოთხოვნილი იყო სწავლის სფეროების კლასიფიკატორში.

ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ

დეტალურ სფეროს სახელწოდებაა „ენერჯია და ელექტროობა“, გასწავლება არის ენერჯიის მიღებაში, ხოლო გენერაცია და გადაცემა ერთნაირად იმართება. კონცენტრაციებში შესაძლებელი გახდა სწავლის შედეგების გაწერა. რაც შეეხება ფორმალური კანონმდებლობის დარღვევას, ყველა პუნქტი დეტალურადაა გაწერილი. დანართი 2 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლი, ზედმიწევნით დაცულია ყველა პუნქტი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სწავლის შედეგების რუქა, რომელიც წარმოდგენილი იყო დოკუმენტაციებთან ერთად. მან დამატებით აღნიშნა, რომ სტუდენტების გამოკითხვა ხდებოდა როგორც ანკეტების ისე პირადი კომუნიკაციის მეშვეობით, არცერთ სტუდენტს არ დაუფიქსირებია ინსტიტუციის თქმით ის რომ არ აქვთ საშუალება ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების. მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას შედგენილი ჰქონდა ცხრილები პრაქტიკული სამუშაოებისთვის, რომლებიც განთავსებული იყო დაწესებულების ვებგვერდზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:53

დასრულების დრო: 18:18

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.3 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მომქმედი კანონმდებლობის თანახმად;
2. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სამეცნიერო ლიტერატურა;
3. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და პლაგიატის შემოწმების ერთიანი წესების პრაქტიკაში დანერგვა;
4. რეკომენდირებულია, პრაქტიკულ კომპონენტში განახლდეს ლაბორატორიული მოწყობილობები.

რჩევები:

1. სასურველია, სასწავლო კურსებში: "სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი" და "ეკონომიკური და ფინანსური რისკები", განისაზღვროს დაშვების წინაპირობები, დაზუსტდეს კურსების შინაარსი და შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო სწავლების საფეხურთან, განახლდეს ლიტერატურა;

2. სასურველია, სტუდენტთა ინფორმირებულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სტარტაპ პროექტებისა და სხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობათა შესახებ;
3. სასურველია, ამაღლდეს ცნობადობა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების მიმართ, დასახვეწია მათი გამოყენების მექანიზმი;
4. სასურველია პროგრამის ბიუჯეტში გამოკვეთილი იქნეს სამაგისტრო კვლევების დაფინანსების წყარო;
5. სასურველია შემუშავდეს ლაბორატორიების განახლების შემდგომი სამოქმედო გეგმა ფინანსურ ჭრილში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია

		Energy and Electrical Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	N 509 (28.09.2012წ.)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დოქტორი Doctor of Energy and Electrical Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მ.კოსტავას ქ. N77, ქ.თბილისი, სასწავლო კორპუსი N8, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა მესამე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თამაზ ბიჭიაშვილმა განაცხადა, რომ 2021 წლის 9 და 10 მარტს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ფორმატის ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 9 მარტს განხორციელდა პროგრამის მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გასაუბრებები კი გაიმართა დისტანციურად. ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. საჭიროა დოქტორანტთა ჩართვა საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესებში რათა მათ შეძლონ თანამდროვე გამოწვევის (პროექტების, კონკურსების) შესახებ სტუდენტთა ინფორმირება და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა.
2. აუცილებელია სტუდენტთა ინფორმირება, როგორც აკადემიური წერის სტანდარტებისა და პლაგიატის პროგრამით სარგებლობის, ასევე პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ.

3. დებულებაში დოქტორანტურის შესახებ უნდა ჩაიწეროს და პრაქტიკულად განხორციელდეს ხელმძღვანელის მხრიდან კონსულტაციები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირებასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
4. მიზანშეწონილია შემუშავდეს სადოქტორო ნაშრომის სილაბუსი, რომელშიც იქნება ინფორმაცია შეფასების კომპონენტებისა და სამუშაო პროცესის შესახებ.
5. პროგრამის ზოგი ლაბორატორია აღჭურვილია მოძველებული აპარატურით. პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ თავისუფალი წვდომა უნივერსიტეტის ახალ კორპუსში (მეცხრე კორპუსი) განთავსებულ National Instruments-ის უახლესი სასწავლო აპარატურით დაკომპლექტებულ ლაბორატორიებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე მიმოიხილა პროგრამისთვის განსაზღვრული რჩევები:

1. სასურველია დოქტორანტების მეტი ჩართულობა საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესებში (მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის დონეზე).
2. მეტი მუშაობაა ჩასატარებელი სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, აუცილებელია ამალდეს მათი მართვა და დაიხვეწოს მათი გამოყენების მექანიზმი.
3. სასურველია დოქტორანტებმა მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების შესახებ ერთი სტატია მაინც გამოაქვეყნონ მაღალ რეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.
4. სასურველია დოქტორანტს მისი კვლევის შედეგებზე ერთი სტატია მაინც ქონდეს გამოქვეყნებული თანაავტორების გარეშე.
5. სადოქტორო ნაშრომის შეფასებისას მეტი ყურადღება მიექცეს სადოქტორო დისერტაციის მიმართ მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულ მოთხოვნებს საკითხის აქტუალობის, სამეცნიერო სიახლის, კვლევის შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის და სხვა ნორმების შესახებ.
6. მეტი მუშაობაა საჭირო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, საჭიროა დოქტორანტთა მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციების მუშაობაში, სასურველია, აგრეთვე მოეწყოს თუნდაც ადგილობრივი კონფერენციები/ფორუმები სადაც დოქტორანტები და კურსდამთავრებულები შეძლებენ პრაქტიკული გამოცდილებისა და სიახლეების ერთმანეთისათვის გაზიარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ლენა შატაკიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში მკაფიოდ იყო პოზიცია ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის ხედვა კვლევების, განათლებისა და ახალი ტექნოლოგიების შეთავაზებასთან და ამ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა მაღალი სტანდარტის კვლევისა და სწავლების განხორციელებისათვის ახალი ორგანიზაციული ერთეულების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ინსტიტუციური ქსელების ჩამოყალიბებას როგორც რეგიონულ, ისე ინტერნაციონალურ დონეზე. მან დამატებით აღნიშნა, რომ სტუდენტთა ინფორმირებულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სტარტაპ პროექტებისა და სხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობათა შესახებ მუდმივად ხორციელდებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის მეცნიერების დეპარტამენტის და სტუ-ს ადმინისტრაციის მიერ უნივერსიტეტის ვებ გვერდის საშუალებით.

ლენა შატაკაშვილმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და განაცხადა, რომ პროგრამის სტუდენტები დეტალურად იყვნენ ინფორმირებულები აკადემიური წერის სტანდარტებისა და პლაგიატის პროგრამით სარგებლობის შესახებ. კერძოდ, სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ დოქტორანტურის დებულებაში ცალკე დანართებით (დანართი 4, 5) გაწერილი იყო ავტორეფერატისა და დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციები, ასევე მითითებული იყო, რომ სადოქტორო ნაშრომი საჯარო დაცვამდე გადიოდა შემოწმებას პლაგიატის არსებობაზე და სხვა ნაშრომებიდან ტექსტის ციტირების ნორმაზე. ნაშრომში პლაგიატის არსებობა ან და სხვა ნაშრომებიდან ნორმაზე მეტი ტექსტის ციტირება დოქტორანტის დაცვაზე არდაშვების საფუძველს წარმოადგენდა.

ლენა შატაკაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტურის შესახებ დებულების მიხედვით დოქტორანტის ხელმძღვანელი დოქტორანტთან შეთანხმებით ადგენდა მასში პერსონალურ სამუშაო გეგმას. მითითებული იყო სადისერტაციო ნაშრომის დასახელება, სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალი, კვლევითი კომპონენტის ჩატარებით გათვალისწინებული ღონისძიებები. იგი ხელმძღვანელობდა კვლევითი კომპონენტების შესრულებას, სადისერტაციო ნაშრომის გაფორმებას და დაცვისათვის მომზადებას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევდა დოქტორანტს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, შუალედური ანგარიშების და სადისერტაციო ნაშრომის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაციები და მიღებული შედეგების წარდგენის პროცესი. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებული იყო კვლევისთვის შერჩეული თემის სპეციფიკაზე.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სადოქტორო ნაშრომის სილაბუსში სამუშაო პროცესის შეფასების კომპონენტების შესახებ ინფორმაციის განთავსებას, ლენა შატაკაშვილმა აღნიშნა, რომ არ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას.

ლენა შატაკაშვილმა ლაბორატორიებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ კვლევები აწარმოონ უნიკალური თანამედროვე ლაბორატორიების საშუალებით, რომლებიც შეიქმნა ბოლო 5 წლის განმავლობაში უცხოელი პარტნიორების და მსხვილი დამსაქმებლების დახმარებითა და ხელშეწყობით.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებდა სადოქტორო ნაშრომის სილაბუსში სამუშაო პროცესის შეფასების კომპონენტების შესახებ ინფორმაციის განთავსებას.

დავით მახვილაძემ სადოქტორო ნაშრომის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე დოქტორანტის საქმიანობის ჩაჩოში მოქცევა შესაძლებელი იქნებოდა. მან აღნიშნა, რომ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ დოქტორანტურის დებულებაში ცალკე დანართებით მკაცრად იყო გაწერილი სადოქტორო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. მან დამატებით აღნიშნა, რომ დამატებით ჩარჩოებში მოქცევა აღნიშნული საკითხების არ მიაჩნდა დაწესებულებას მიზანშეწონილად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და დააზუსტა თუ რა მიზეზით არ იყენებდა დაწესებულება ლაბორატორიებს. დოქტორანტების რაოდენობიდან გამომდინარე, ლაბორატორიების წარმადობა იყო ნაკლები თუ არ იყენებენ იმ მიზეზით რომ დოქტორანტები არ აპირებდნენ თანამედროვე კვლევების ჩატარებას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ მიმართა კითხვით დაწესებულებას, თუ რას ნიშნავდა დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა რა ნორმატიულ დოკუმენტში იყო ასახული დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა და რა იყო სამუშაო გეგმის ელემენტები.

გიორგი ლაღანიძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს თუ სად იყო გაწერილი სადოქტორო ნაშრომის შეფასების მექანიზმი. მან დამატებით აღნიშნა, რომ იგი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ყველა სადოქტორო ნაშრომს და აღნიშნა, რომ ნაშრომებში გამოყენებული იყო ძალიან ძველი ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ 3.1 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაცია კიდევ ერთხელ განემარტათ. მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თქმით ერთ წელიწადში დაცული იყო 30 სადოქტორო ნამუშევარი, ამ რაოდენობით სადისერტაციო ნაშრომების არსებობა რამდენად აისახა სამეცნიერო ღირებულებაზე და ხარისზე.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძე დაინტერესდა სადოქტორო ნაშრომის მომზადებისას დებულობდნენ თუ არა დოქტორანტები ინოვაციურ კონკურსებში მონაწილეობას. სადოქტორო ნაშრომის ხარისხის ამაღლების მიზნით ხდებოდა თუ არა ნაშრომის ნაწილების გამოქვეყნება სკოპუსის ბაზის ჟურნალებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიზე დაინტერესდა, რამდენად მიზანშეწონილი იყო დოქტორანტის მხრიდან 3 სავალდებულო სტატიაზე თანაავტორობით მუშაობა, იმჯობესი ერთ სტატიაზე მაინც ემუშავა დოქტორანტს თანაავტორობის გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამაზ ბიჭიაშვილმა, აღნიშნა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობდა უახლესი, თანამედროვე ლაბორატორია, თუმცა მისი მოსაზრებით თავს არიდებდნენ დოქტორანტები აღნიშნული ლაბორატორიის გამოყენებას.

რაზეც საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა შემუშავდეს სპეციალური კურსი, თანამედროვე კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია და ყველა დოქტორანტის მხრიდან მოხდეს მისი გავლა.

რაზეც თამაზ ბიჭიაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტები გადიოდნენ საგანს კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის მეთოდოლოგიის შემადგენელი ნაწილი იყო ექსპერიმენტული კვლევა. ექსპერიმენტული კვლევის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოდგენდა ექსპერიმენტების მეტროლოგიური უზრუნველყოფა და ავტომატიზაცია, რომელიც ექსპერტის მოსაზრებით სავალდებულო სახით ყველა დოქტორანტმა უნდა გაიაროს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ლაბორატორიების გამოყენება დოქტორანტებისთვის შესაძლებელი იყო, არსებობდა აღნიშნული მიმართულების ადამიანური რესურსი, უბრალოდ საჭირო იყო აღნიშნული კურსის სავალდებულოდ გასავლელი სახის მიცემა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამაზ ბიჭიაშვილმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ სიამოვნებით გაუწევდნენ კონსულტაციას მომავალ დოქტორებს სსხვადასხვა საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დეტალებზე საეთაშორისო დონორი ოგანიზაციების გრანტების მოპოვების კუთხით. თუმცა უნივერსიტეტის მხრიდან არ ხდებოდა მსგავსი ინიციატივებით მიმართვა.

თამაზ ბიჭიაშვილმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ დოქტორანტი დამოუკიდებლად გამოაქვეყნებდა ერთ სტატიას მაინც. რაც შეეხება დისერტაციის რაოდენობას, პირველ ეტაპზე როგორც თამაზ ბიჭიაშვილმა აღნიშნა, გასაკვირი იყო წელიწადში 30 სადისერტაციო დამშრომის დაცვა აღნიშნულ პროგრამაზე, თუმცა, ეს საკითხი საკმაოდ მოქნილად ჰქონდა დაწესებულებას განხორციელებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თენგიზ მუსელიანმა აღნიშნა, რომ მის ყველა დოქტორანტს ჰქონდა დამოუკიდებელ სტატიასთან მუშაობის შესაძლებლობა.

დავით მახვილაძემ საბჭოს წევრებს გაუზიარა ვებგვერდი და საბჭოს წევრს, გიორგი ლაღანიძეს წარუდგინდა ის დოკუმენტები, რომელთან დაკავშირებით გიორგი ლაღანიძემ დასვა შეკითხვები.

ექსპერტმა, თამარ ლუღუნიშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დოქტორანტების ჩართულობას გულისხმობდა. მისი მოსაზრებით, აუცილებელია, რომ სწავლების კულტურა თაობიდან თაობას გადაეცეს. მისი თქმით თავად დოქტორანტებმა გამოთქვეს სურვილი ჩართონ სხვა სტუდენტები სხვადასხვა კვლევით პროცესებში. სილაბუსებთან დაკავშირებით, თამარ ლუღუნიშვილმა აღნიშნა, რომ გაურკვევლობას იწვევდა დოქტორანტებში ის, რომ შეფასების ნახვა უწევდათ ცალკე დოკუმენტში. სჭირდებათ ერთი საინფორმაციო დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ყველა სახის ინფორმაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გრიგოლ ხელაძემ აღნიშნა, სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ დოქტორანტურის დებულებაში ცალკე დანართებით (დანართი 4, 5) გაწერილი იყო ავტორეფერატისა და დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციები, ასევე მითითებული იყო, რომ სადოქტორო ნაშრომი საჯარო დაცვამდე გადიოდა შემოწმებას პლაგიატის არსებობაზე და სხვა ნაშრომებიდან ტექსტის ციტირების ნორმაზე. მან აღნიშნა, რომ დანართი 2, დანართი 3, დანართი 4 მიხედვით დოქტორანტი ინფორმირებული იყო თუ რომელ ეტაპზე როგორ ფასდებოდა სადისერტაციო ნაშრომი. მან დამატებით აღნიშნა, რომ დებულებით გაწერილი იყო, რომ ხელმძღვანელსაც ეკისრებოდა პასუხისმგებლობა პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:02

დასრულების დრო: 19:52

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. მეოთხე სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში“ სავალდებულო გახდეს მეტროლოგიური უზრუნველყოფის და ავტომატიზაციის საკითხების ასახვა და ლაბორატორიაში პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება;
2. რეკომენდირებულია, დოქტორანტებმა მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების შესახებ ერთი სტატია მაინც გამოაქვეყნონ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში;
3. რეკომენდირებულია, სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;
4. რეკომენდირებულია, სადოქტორო ნაშრომის შეფასებისას მკაფიოდ გამოიკვეთოს თემის აქტუალობა, თემის ინოვაციური ასპექტები და კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა;
5. რეკომენდირებულია, სადოქტორო ნაშრომების გაფორმებისა და პლაგიატის შემოწმების ერთიანი წესების პრაქტიკაში დანერგვა;
6. რეკომენდირებულია, შემუშავდეს დოქტორანტების კონსულტირების ქმედითი მექანიზმები ადგილობრივ და საერთაშორისო ქსელში ინტეგრირებასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით;
7. რეკომენდირებულია, ლაბორატორიების განახლება თანამედროვე აპარატურით/ტექნიკით და უზრუნველყოფილ იქნას დოქტორანტების ხელმისაწვდომობა;
8. რეკომენდირებულია, შემუშავდეს ლაბორატორიების განახლების შემდგომი სამოქმედო გეგმა ფინანსურ ჭრილში.

რჩევები:

1. სასურველია, უცხოელ ექსპერტთა ჩართვა პროგრამის მონიტორინგში მონაწილეობისა და გარე ექსპერტული შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე და 33-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტრანსპორტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	28.09.2012 წელი N493
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	0716-ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N68, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა მეოთხე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

21:00 საათზე, საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ დატოვა აკრედიტაციის საბჭოს სხდომა

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ჯუმბერ ჩოგოვაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტის“ სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა 2021 წლის 16, 19 და 20 აპრილს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით (16 აპრილს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა კომბინირებული ფორმით-ადგილზე ვიზიტით და დისტანციური ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით). აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით. ექსპერტებმა შეისწავლეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (თვით-შეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, ასევე ვიზიტის განმავლობაში ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები), გაესაუბრნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები. სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დასადგენად.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. კონცენტრაციის შესაბამისი სწავლის შედეგი უფრო მკაფიოდ იქნას გაწერილი „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (მ.6, პ.7) მიხედვით
2. გასწორდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესშისაკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია;
3. სილაბუსებში (მაგ., „სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება და ჩქაროსნული მაგისტრალები“; „სარკინიგზო დისკრეტული მოწყობილობები“) მიეთითოს შეფასების კრიტერიუმები და ქულათა რანჟირება.
4. აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განახლება და ლაბორატორიები აღჭურვოს შრომისა და უსაფრთხოე-ბისათვის საჭირო ელემენტებით. სასურველია შესაბამის ღონისძიებები შესრულდეს მომდევნო სასწავლო წლისათვის.

5. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვასთან, განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში.

6. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობის მდგომარეობის და უსაფრთხოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში იმ არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვა.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

7. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე მიმოიხილა დასკვნაში არსებული რჩევები:

1. მაგისტრატურის დებულებაში (მ.6, პ.6.8) არსებული ჩანაწერის შესაბამისად, სასურველია პროგრამის წინაპირობებში დაკონკრეტდეს, რომ სავალდებულოა გამოცდა სპეციალობაში.

2. სასურველია „სამაგისტრო სატრანსპორტო პრაქტიკის“ შემთხვევაში შუალედურ შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში პრაქტიკის სპეციფიკასთან (მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან):

3. რადგან პროგრამა ითვალისწინებს ერთი კონკრეტული და არა რამდენიმე (ძირითადი და არაძირითადი) კვალიფიკაციის მინიჭებას სასურველია პროგრამის ჩანაწერში „პროგრამა უზრუნველყოფს ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას,“ სიტყვა „ძირითადი“ ამოღებულ იქნას.

4. სასურველია სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის წარმოდ-გენისას უპირატესობა მიენიჭოს შედარებით ახალი-2010 წლის შემდგომი ლიტერატურული გამოცემების გამოყენებას, აგრეთვე ინგლისურ ენაზე გამოცემულ სახელმძღვანელოებს.

5. სტუდენტთა მეტი ინფორმირებისათვის საჭიროა გაიწეროს თუ რომელ კვირებში ტარდება შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდები.

6. სასურველია მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ინდიკატორების შემოღება და გამოყენება, რათა განისაზღვროს პერსონალისთვის ტრენინგების საჭიროებები.

7. სასურველია მომდევნო წლის პროგრამის/ფაკულტეტის ბიუჯეტში გაიზარდოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის (ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, კომპიუტერული/პროგრამული უზრუნველყოფა) განახლება-განვითარებაზე მიმართული დაფინანსება.

8. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.

9. მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.

10. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილამემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული მაგისტრატურის დებულება დანართებთან ერთად განთავსებული იყო სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე (რუბრიკა „ინსტრუქციები და ფორმები“ – „დებულებები“,). მეორე დანართში (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი) წარმოდგენილი იყო საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების განახლებული კრიტერიუმები და ქულათა გრადაცია. ხელახალი აკრედიტაციის განაცხადის წარმოდგენისას დოკუმენტაციაში არ იდო დებულების საბოლოო რედაქცია, მან დამატებით აღნიშნა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი და ვიზიტის დროს ექსპერტებს მიეწოდათ დებულების მოქმედი ვერსია.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით მახვილამემ აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას. მან დამატებით აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იყო სარკინიგზო ტრანსპორტის აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე, სადაც მიღებულია შეთანხმება შეფასების კრიტერიუმების და ქულათა რანჟირების დახვეწის შესახებ.

დავით მახვილამემ მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს იდენტიფიცირებული ჰქონდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განახლების საჭიროებები და ცდილობს შესაძლო უმოკლეს ვადაში, თანმიმდევრულად გააუმჯობესოს და განავითაროს. რაც შეეხება ლაბორატორიების აღჭურვას შრომისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ელემენტებით, აღნიშნული გამოსწორებულ იქნა დაუყოვნებლივ, ექსპერტების მიერ ხარვეზის გამოვლენისთანავე.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით მახვილამემ აღნიშნა, რომ განვითარების მიზნებისათვის დაწესებულება იყენებდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს. ტარდებოდა გამოკითხვები აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, რომელთა ნაწილიც ჩართულები იყვნენ ხელახალი აკრედიტაციის მზადების პროცესში. მან აღნიშნა, რომ სტუ-ში დაინერგა სასწავლო პროცესის მართვის ახალი საინფორმაციო სისტემა, რომელიც მრავალფუნქციური შესაძლებლობებით გამოირჩეოდა, მათ შორის კვლევების ჩატარების გამართული შესაძლებლობებით. აღნიშნული საშუალებას იძლევა კიდევ უფრო გამარტივდეს, გაძლიერდეს და გაღრმავდეს საჭირო მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა პროგრამასთან მიმართებით გამოხატა პოზიცია და აღნიშნა, რომ ტრანსპორტი და ის მიმართულებები, რომლებსაც აღნიშნული პროგრამა მოიცავდა არის დინამიური და სწრაფად განვითარებადი მიმართულებები. მან აღნიშნა, რომ პროგრამა და სილაბუსები სიღრმისეულად შეისწავლა და აღნიშნა, რომ პროგრამა იყო გაჯერებული უახლეს ლიტერატურით. მან ასევე ყურადღება გაამხვილდა პროგრამის დასაქმების მაღალ მაჩვენებელზე. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების 95% დასაქმებულები იყვნენ ტრანსპორტის მიმართულებით.

ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულის მისანიჭებელ კვალიფიკაციას წარმოადგენდა ტრანსპორტის ინჟინრის მაგისტრი. მან აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება განისაზღვრებოდა პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მისი კონცენტრაციები, სამაგისტრო საფეხურზე შემოთავაზებული ზოგადი სასწავლო კურსები კონცენტრაციის გარეთ, მათ შორის სატრანსპორტო საინჟინრო კვლევა, ორიენტირებული არის საინჟინრო გადაწყვეტაზე. საჭბოს წევრი, დაინტერესდა პროგრამის დასახელება ტრანსპორტი, პროგრამის მიზნიდან გამომდინარე გამართლებული. მან ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი სამაგისტრო ნაშრომი მოიცავდა 9 გვერდს, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი თუ დაუსრულებელი ნაშრომი.

ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით ლაბორატორიისთვის განკუთვნილი დროის გარკვეული ფორმალიზება უმჯობესი იქნებოდა. ასევე უმჯობესი იქნებოდა სილაბუსში ლაბორატორიული სამუშაოსთვის გამოყოფილი დროს გაიწეროს.

ნიკა თიკანაშვილმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას ძალიან ბევრი მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული პარტნიორ ორგანიზაციებთან. ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა საგზაო ჭრილში რა გეგმები და მიზნები ჰქონდა დასახული ინსტიტუციას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს თუ არ განახლდა ლაბორატორიები შესაძლებელი იქნებოდა თუ არა სწავლის შედეგების მიღწევა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, და აღნიშნა, რომ ტრანსპორტის მიმართულების სამი დამსაქმებელი დაწესებულების მხრიდან შრომის ბაზრის კვლევის ზედაპირული დამოკიდებულების მაჩვენებელი იყო. უმჯობესი იქნებოდა უფრო სიღრმისეული ბაზრის კვლევის ჩატარება ტრანსპორტის მიმართულებით. გიორგი ლაღანიძემ მიმართა დაწესებულებას რატომ შემოიფარგლა 3 დამსაქმებლით და 8 კითხვით და აღნიშნული კვლევა ვალიდური იყო თუ არა.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხაიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რამდენად პასუხობენ სამაგისტრო ნაშრომები საკვალიფიკაციო ნაშრომის მოთხოვნებს. რამდენად ჰქონდათ სტუდენტებს სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა და დასტურდებოდა თუ არა მათი ნაშრომებში გამოყენება. რა კრიტერიუმით მოხდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო ნაშრომების შერჩევა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ორიენტირებული იყო პროგრამის განვითარებაზე. მაკა კაჭარავამ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ 5.1 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს რჩევის სახით ჰქონდა ჩამოყალიბებული, რომ პროგრამის მიღების წინაპირობებში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა არ არის დაკონკრეტებული სავალდებულოა თუ არა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რამდენად იყო აღნიშნული საკითხი რჩევა, რადგან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების პროცედურები ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროგრამისთვის.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, შემცირებული იყო თუ არა საავტომობილო გადაზიდვებში დასაქმების მაჩვენებელი. ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ სამომავლო გეგმებში გაწერილი საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტის მიმართულებით მუშაობა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილში და სასწავლო კურსების სწავლება შეფასების მეთოდების ნაწილში პროგრამა შეფასებული იყო როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. რამდენად მიღწევადი, გაზომვადი და შეფასებითია პროგრამის სწავლის შედეგები? მაგალითისთვის ერთ-ერთი სასწავლო კურსია სატრანსპორტო საწარმოო ლოგისტიკური სისტემები, სწავლის შედეგები რომლებიც პროგრამის იმ სწავლის შედეგის გასვლას უზრუნველყოფს არის: ”აღწერს საწარმოო პროცესს, ფირმის მიკროლოგისტიკურ სისტემაში, ასახელებს მოძრავი შემადგენლობის პარკის მართვის ძირითად ამოცანებს, ჩამოთვლის წარმოების რესურსების დაგეგმვის სისიტემებს” მისი თქმით იგივე ხდება მეორე და მესამე სასწავლო კურსებში. შეფასების მეთოდებად შერჩეულია: სემინარი, დისკუსია, შუალედური და ფინალური გამოცდა ტესტური და ღია კითხვების სახით. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა როგორ აფასებს დაწესებულება სისტემური ანალიზის პროცესს. რატომ არ იყო აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილებული და რატომ არის აღნიშნული საკითხი ექსპერტების მხრიდან შეფასებული როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ რჩევის სახით შემუშავებული მეორე, მეოთხე, მეშვიდე და მერვე საკითხები რეკომენდაციის ხასიათის იყო ვიდრე რჩევის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯუმბერ ჩოგოვაძემ აღნიშნა, რომ სატრანსპორტო სახეები არის, როგორც სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო და საჰაერო. მაგრამ პროგრამაში განხილულია მხოლოდ სახმელეთო ტრანსპორტი. დასაქმების მაჩვენებელი მისი განმარტებით არის მაღალი, რადგან მოთხოვნადი სპეციალობებია, რადგან მისანიჭებელი კვალიფიკაცია განიხილავს მხოლოდ დიაგნოსტიკას, წარმოებას, რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას. იმ კომპანიებთან, რომლებთანაც დაწესებულაბს ჰქონდა მემორანდუმები გაფორმებული, სწორედ აღნიშნულ მომსახურებას უწევენ კლიენტებს.

ლაბორატორიებთან დაკავშირებით ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში საუბარი იყო ერთ კონკრეტულ ლაბორატორიაზე და არა მთლიანად მატერიალურ რესურსზე, რომელშიც შეიძლება სასწავლო პროცესი განხორციელდეს პრობლემების გარეშე. ერთ კონკრეტულ ლაბორატორიაში არის გასაუმჯობესებელი არსებული ინფრასტრუქტურა. მან დამატებით აღნიშნა, რომ სხვა ლაბორატორიებში შესაძლოა აპარატურას იყოს მოძველებული, თუმცა, მისი გამოყენება დასაშვებია.

ექსპერტმა თამარ თავხელიძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან უნივერსიტეტს გააზრებული ჰქონდა აღნიშნული ხარვეზები და ის მიმართულებები რაც გასაუმჯობესებელი იყო დაწყებულია მისი აღმოფხვრა, სწორედ ამიტომ იქნა გაწერილირიგი საკითხები რჩევის სახით და არა რეკომენდაციის სახით.

ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ კონკრეტულად უცხოელების ჩარიცხვაზე არ ყოფილა საუბარი რეკომენდაციაში, ეს იყო მაგისტრატურის დებულება სადაც არის მითითებული, რომ საუბარი იყო საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შესახებ, რაშიც შედიოდა არა მხოლოდ უცხოელები არამედ სქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც უცხოეთში მიიღეს განათლება, აღნიშნული ამ შეფასების ნაწილში მოხვდა ორი დოკუმენტის გამო, აისოს სტანდარტი და მეორე საფუძველი (isj 2015) მისი პირველი ნაწილი დასათაურებული იყო შემდეგნაირად ‘სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის’ მისი 1.4 ქვესტანდარტი დასათაურებული

იყო „სტუდენტის მიღება, პროგრესია და აღიარება, სერტიფიცირება”. Isj 2015 სახელმძღვანელო წარმოადგენდა აკრედიტაციის სტანდარტების საფუძველს. აქედან გამომდინარე ლეგიტიმური იყო ამ რეკომენდაციის მითითება რეგულაციაში, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს პირმა, რომელიც ამ რეგულაციას ნახავდა ვებგვერდზე განთავსებულს.

სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ 9 გვერდიანი ნაშრომი შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა, როგორც ხარვეზით გადმოგზავნილი. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა 4 სამაგისტრო ნაშრომი. ხარისხი ექსპერტმა შეაფასა დადებითად, სრულყოფილად იყო შესავალი კვლევითი ნაწილი, აგებულება და დასკვნითი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯუმბერ ჩოგოვაძემ განმარტა რომ დაწესებულება გამოკითხვის მეთოდით ახდენდა ანალიზს.

ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დანართის რუბრიკაში და პროგრამაში სწავლის შედეგები განსხვავებულად იყო ფორმულირებული. რუბრიკაში სწავლის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსები, რომლის გავლის შემდგომ სტუდენტს უნდა ჰქონდეს მიღებული სწავლის შედეგები და პროგრამაში ფორმულირებული სწავლის შედეგები ერთი და იგივე შინაარსის უნდა იყოს. მან აღნიშნა, რომ ამ სასწავლო კურსებში ფორმულირებული სწავლის შედეგები, სწავლის მეთოდები და შეფასების მეთოდები განსხვავებული იყო. მან დამატებით აღნიშნა, რომ კონცენტრაციებისთვის სხვა სწავლის შედეგები უნდა იყოს გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ სახელწოდებასთან დაკავშირებით, ცალსახა იყო პროგრამის განმახორციელებელი გუნდის პოზიცია, აღნიშნეს, რომ ეს არის ისტორიული პროგრამა და სურვილი იყო რომ არ შეცვლილიყო და მსგავსად დარჩენილიყო. სამაგისტრო ნაშრომის 9 გვერდი დაწესებულებამ დაადასტურა, რომ იყო ტექნიკური ხარვეზი. რაც შეეხება მემორანდუმებს სარკინიგზო მიმართულება უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, თუმცა ინსტიტუციამ თამამად განაცხადა, რომ არ კნინდებოდა საავტომობილო მიმართულება, მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებით. დაწესებულების განმარტებით ლაბორატორია გასაახლებელი იყო, თუმცა, მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა აღნიშნულთან დაკავშირებით პროცედურები.

დაწესებულების განმარტებით, სისტემურად აანალიზებს საავტომობილო სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა პროექტირების დიაგნოსტიკის სერვისისა და საიმედოობის კონცეფციებს, კონსტრუქციულ სრულყოფას ან/და მოდერნიზებას. ამ კვალიფიკაციის კურსდამთავრებული, რომელიც აღნიშნულ უნარებს ვერ გამოიმუშავებს არ არის კარგი სპეციალისტი.

ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ანალიზის უნარის შეფასებისთვის სხვა სწავლების მეთოდები და სხვა შეფასების მეთოდები იყო საჭირო.

დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ დანართის რუბრიკაში და პროგრამაში სწავლის შედეგების განსხვავებულად ფორმულირება იყო ტექნიკური ხარვეზი.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 9 გვერდიანი სამაგისტრო ნაშრომი ტექნიკური ხარვეზი იყო და მიმართა დაწესებულებას რაში გამოიხატებოდა ტექნიკური ხარვეზის არსებობა. მან აღნიშნა, რომ ადგილი არ ჰქონდა ნაშრომის არასრულად მოწოდებას, რადგან ნაშრომი მოიცავდა როგორც შესავალს, ასევე

დასკვნას. ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს თუ როგორ და რამდენი ქულით შეფასდა აღნიშნული 9 გვერდიანი სამაგისტრო ნაშრომი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავთანდილ თავხელიძემ განაცხადა, რომ დანართი 1 და დანართი 2 სადაც მოცემული იყო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა გაიწერა და აღნიშნა დანართი 2 სახელწოდებით, სადაც სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნები იყო გაწერილი. სისტემური და სისტემატური მიდგომა ერთმანეთისგან განსხვავებული იყო, როდესაც ინსტიტუცია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას რომ სისტემური მიდგომაა, რა თქმა უნდა მოქმედებდნენ საკავლიფიკაციო ჩარჩოში მოცემული დასახელების შესაბამისად, რაც ითვალისწინებდა დიაგნოსტიკას, სერვისს, საიმედოობასა და პროექტირებას. სწორედ აქედან გამომდინარე ჰქონდა დაწესებულებას გაერთიანებულად მოცემული ამ სწავლის შედეგში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ სწავლის შედეგში ერთგან წერია "იყენებს" მეორეგან "ანალიზებს" კითხვა დასვა რომელ ერთ შედეგზე გადიოდა მაგისტრანტი. გამოყენება არის პრაქტიკული უნარი ხოლო ანალიზი კოგნიტური. იყენებდნენ მათემატიკურ მოდელებს თუ კომპლექსურ პრობლემებს ახალი ორიგინალური გზებით და მოდერნიზების მეთოდებით, რადგან პროგრამაში და რუბრიკის დანართებში განსხვავებულად იყო ფორმულირებული აღნიშნული საკითხები. მან დამატებით აღნიშნა, რომ სილაბუსებში არ იყო მითითებული ანალიზზე გამსვლელი ან გამოყენებაზე გამსვლელი სწავლის შედეგი. მან დამატებით აღნიშნა, რომ დასახვეწი და დასაზუსტებელი იყო ფორმულირებები, როგორც პროგრამებში ისე სილაბუსებში. სილაბუსებში შესაბამისი სწავლების და შეფასების მეთოდები კი შესარჩევი.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულებას თუ როგორ ამართლებდა პროგრამა დასახელებას. საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამაზე მსგავსი მიმართულებით თუ ახორციელებდა პროგრამებს დაწესებულება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია რა იყო აღნიშნული პროგრამებისთვის და მათ რა დასახელებები ჰქონდათ.

დაწესებულების განმარტებით ანალოგიური დასახელებით ახორციელებდა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას როგორც საბაკალავრო საფეხურზე, ასევე სადოქტორო საფეხურზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია კი იყო ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრი და ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი. ეს პროგრამა ვინაიდან 2012 წლიდან ჩამოყალიბდა, უპირატესად მიმართული იყო სახმელეთო ტრანსპორტის 2 დარგის ბაზაზე, ანალოგები არის ევროპის ქვეყნებში, სადაც დაკონკრეტებულია სახმელეთო ტრანსპორტი, საჭაერო თუ საზღვაო ტრანსპორტი. ახალ სწავლის სფეროების კლასიფიკატორიში 0716 დეტალურ სფეროში არის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით საკითხები. მას ასევე დაწესებულების განმარტებით განვითარების სხვა გზებიც აქვს. მითითებულია 0716-ში საავტომობილო ტრანსპორტის ინჟინერია, ამ მიმართულებითაც მათ აქვთ პერსპექტივა რომ განვითარდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ფრიდონაშვილმა აღნიშნა, რომ ტრანსპორტის პროგრამა იყო ევროპული ანალოგი, რომელიც მათ მსგავსად ორი მიმართულებით იყო შედგენილი. საბაკალავრო ტრანსპორტის პროგრამაში ორი მიმართულების გარდა კიდევ ორი მიმართულება იყო: სატრანსპორტო ლოგისტიკა და ამწე სატრანსპორტო მანქანები. დაწესებულებამ განმარტა, რომ მათ ჰქონდათ გამოცდილება საზღვაო ტრანსპორტის სპეციალისტებთან თანამშრომლობის, შესაბამისად შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე სტუდენტების მომზადების. მან აღნიშნა, რომ სიტყვა ტრანსპორტი ერთის მხრივ მიმზიდველი იყო და მეორეს მხრივ იძლეოდა საშუალებას განვითარება მოხდეს სხვადასხვა მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობდა მუშაობა საავიაციო ტრანსპორტის განხორციელების თვალსაზრისით.

ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანმა, ოთარ გელაშვილმა აღნიშნა, რომ ვერცერთ სამაგისტრო პროგრამაზე ვერ შევხვდებოდით 9 გვერდიან სამაგისტრო ნაშრომს. მან აღნიშნა, რომ დებულებით გაწერილი იყო მინიმალური გვერდების რაოდენობა, რომელიც დაცულია ყველა ნაშრომში. მან აღნიშნა, რომ სახეზე იყო გარკვეული სახის ტექნიკური ხარვეზი. დაწესებულების განმარტებით ეს არ იყო სამაგისტრო ნაშრომი ამის დასტურად წაუკითხა აღნიშნული ნაშრომიდან ამონარიდი საბჭოს წევრებს. ინსტიტუციის განმარტებით დღეს ფაკულტეტს გააჩნდა პროგრამისათვის თანამედროვე ლაბორატორიული ბაზა. ლაბორატორიასთან დაკავშირებით ოთარ გელაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას და აღნიშნა რომ დაწესებულება აუცილებლად გამოასწორებდა ხარვეზს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:49

დასრულების დრო: 22:36

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, პირველი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამის დასახელებასთან და შინაარსთან;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდირებულია, სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს გაზომვადი ფორმით;
4. რეკომენდირებულია, სავალდებულო სასწავლო კურსებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან;
5. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლება-სწავლის მეთოდები მოვიდეს სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
6. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში სტუდენტების შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
7. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომები შესაბამისობაში მოვიდეს დადგენილ სტანდარტების მოთხოვნებთან;
8. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის განახლება და ლაბორატორიები აღჭურვოს შრომისა და უსაფრთხოებისათვის საჭირო ელემენტებით;

9. რეკომენდირებულია პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედება;

10. რეკომენდირებულია, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პროგრამის ყველა ასპექტის პერიოდული შეფასება, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით (SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.);

რჩევები:

1. სასურველია, შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგების ფორმულირება რუბრიკაში მითითებულ შედეგებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3² პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3² ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტრანსპორტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:42 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



